№ 85 24 აპრილი, სამშაბათი 1866—1879 24 აპრილი, სამშაბათი № 85

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 ან., ერთის თვისა—1 მან.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ᲧᲝᲚᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ფასი განცხადებისა: ერთ-ერთ ფურცლებით ახოზე—1 კაპ., ასო-მთავრულად სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დახმარებულ-ათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 20 აპრილს. „მმართველობის უწყება" გვატყობინებს, რომ არის შემდგარი წესდებები სოფელში მცხოვრებისათვის, რომელშიაც არის გაყვანილი ჰაზრი, წმინდათა ჰქონდეთ შენახული გზები, ეზოები, თხრილები და წყლები. აგას გარდა იმ წესდებებში არის მოხსენებული, რომ ნება არა ჰქონდეთ ქუჩებში გაატარონ მიცვალებული ახდილის კუბოთი.

პეტერბურღი, 21 აპრილს. „მმართველობის უწყება" გვატყობინებს, ხელმწიფე იმპერატორს ნება მიუცია, რომ მოახდინონ ყველგან ხელის-მოწერა ორენბურგელებისათვის, რომელთაც ცეცხლის გამოისობით მიეცათ ზიანი.

პეტერბურღის სამხედრო სასამართლომ გადასწყვიტა, 13 აპრილს, სამსახურიდამ გამოსული პოდპორუჩიკის დუბროვინის ჩამოხრჩობა. დუბროვინი იყო შემჩნეული მმართველობის მოპირდაპირე პირად: როდესაც მისულან იმის სახლის გასაჩხრეკათ მას უარი განუცხადებია და იარაღიც უხმარია, რომლის გამოისობითაც იმის სიკვდილი გადაუწყვეტიათ და გუშინ დილით პეტრ-პავლოვის ციხეში 10 საათზედ გადაეწყვეტილება აღსრულებაში მოიყვანეს.

პეტერბურღის ბირჟა, 21 აპრილს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის —	— 97	— „
მეორე— — — — — —	96	37
მესამესი — — — —	96	— „
მეოთხესი — — — —	96	— „
აღმოსავლეთის პირ. —	93	50
აღმოსავლეთის მეორე—	93	50
ოქრო, 1/2 იმპერიალი —	8	55
თფილ. თავად-აზნ. ბანკის		
გირაოს ფურცელი——	94	50
შინაგანი 5% სესხის ბილეთები		
	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	241	50
მეორე სესხის — — —	235	75

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	22—94	პენსი
ამსტერდამი— — —	„	ცენტი
ბერლინი— — —	—200	პფენიგი
პარიჟი — — —	—242	სანტიმი
ქაქაკასიის კერასინი	— „ —	„

საქართველო

ქუთაისის ბანკზე პოლემიკა.

(დასასრული)

საბუთი მესამე. უ. ნ. ნიკოლაძე ითხოვდა, რომ მთელი გუბერნიის თავად-აზნაურობის ურთიერთობა დაწესებულ იყო ქუთაისის ბანკის წესდებაში და არა მარტო იმ თავად-აზნაურობისა, რომელთაც მამულები ჰქონდათ ბანკში დაგირავებული, ან მკვიდრი თავნის შემადგენელი ფული ჰქონდათ შეტანილი.

ეს მართლაც კარგი იყო; მაგრამ ცხოვრებაში ცოტა მოუხერხებელი გამოჩნდა: ვინიცობაა მართლაც მოსესხე კაცის მამული იმისგან გატანილს ვალზე ნაკლებათ გაყიდულიყო, ვინ იყო დანარჩენი ფულის მოპასუხე? მთელი გუბერნიის თავად-აზნაურობა. რომელთაც ბანკში მამულები ჰქონდათ დაგირავებული, იმათგან ბანკი ადვილათ აიღებდა დანაკლისს იმითი, რომ იმის ხვედრს ნაღდ შემოსავლისაგან გამოურიცხავდა იმის საწილო გადასახდელს ვალს; მაგრამ გარეშე კაცისთვის, რომლის გირაოზე და ფულზე ხელი არ ეკიდებოდა, სად უნდა ედვა ბანკს? ან რა გარანტია იყო იმისი თავდებობა ბანკისათვის?

რაც უნდა იყოს, ეს საბუთი მხედველობაში იყო მისაღები, მაგრამ სამწუხაროთ გვიან იყო გამოთქმული.

ჯიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უ. ნიკოლაძის შენიშვნას, რომ ვინიცობაა მოგირავეს სარგებელი ფულად ვერ შეეტანა, იმის მაგიერ სარწმუნო ვექსილები მიეღო ბანკს მოსესხესგან; მაგრამ ეს ბანკის გამოცდილებაზე იყო დამოკიდებული და დაარსების დროს ბანკის გამგებლები ვერ მიიღებდნენ ამნაირს საეჭვო, თუმცა ძალიან ხელის გამმართველს ოპერაციას.

მეოთხე შუ. ნიკოლაძის საბუთი. ვინიცობაა მოგირავეს მამული გაიყიდოს, მოახერხეთო, რომ ისევ მეზობლებს შეეძლოს იმის შესყიდვა და არა გარეშე მოსულს კაცსაო.

სოციალურის შეხედულებით ეს ძალიან კეთილ-ნაყოფიერი აზრი იყო; მაგრამ მოწინააღმდეგებმა უპასუხეს: „ძალათ გაცხონა, ბებია, ღმერთმაო". მამულების გაყიდვის დროს, რასაკვირველია, ვეცდებით მეზობლები დავიბაროთ და იმათ ვურჩიოთ შესყიდეთ, კიდეც ავუხსნით, თუ რა ადვილათ შეუძლიანთ ბანკისაგან მამულის შეძენაო; მაგრამ რომ მაინც არ ინდომონო?... ძალას ხომ ვერ დაატან გლეხებს, მაინცა და მაინც თქვენ შეისყიდეთო. თუმცა ამ შენიშვნამ საზოგადოებაზე იმოქმედა; მაგრამ ჩვენის აზრით ეს უფრო სოფლიური პასუხია. ბანკის მთაოსნებელი და ჩვენი მოწინავე კაცები მართლაც ღრმათ უნდა დაფიქრებულ იყვნენ ამ საგანზე.

საზოგადოთ უ. ნიკოლაძის პოლემიკას და კრიტიკას ბანკის პროექტის თაობაზე სამი სხვა-და-სხვა მხარე აქვს: პოლემიკური მხარე მარჯვე და ნიჭიერათ არის დაწერილი; მაგრამ პიროვნების შეხებით დასუსტებულია. კრიტიკული მხარე იმის სტატიებისა ყველაზე ძლიერია. როგორც უსტავის ანალიზი, ისე გარემოებების განხილვა და უსტავის ნაკლულევანებანი ნიჭიერათ არის ნაჩვენები. სამწუხაროთ ამასვე ვერ ვიტყვით მესამე მხარეზე: იქ, საცა ის ურჩევს ასედ-ასე უნდა გადაასწოროთ ბანკის უსტავი, ამა-და-ამა პირობების შემავსებელი მუხლები უნდა ჩაურთოთო.

—

ვინც გულ-დამშვიდებით შეხედავს უ. ნიკოლაძის მაშინდელს პოლემიკას, დამეთანხმება, რომ რაც იმან საბუთები წარმოადგინა 1876-ს წელს ბანკის უსტავის განხილვაში, უეჭველად, ყველა ყურადღების ღირსნი იყვენ და დარწმუნებითაც შემიძლიან ვსთქვა, რომ იმის მოსაზრებანი ბანკის უსტავს სარგებლობას მოუტანდენ, რომ იმას ეს ბაასი 1872 და 1873 წლებს გაემართა და არა 1876 წელს. ამ დროს კი გვიანღა იყო ყოველიფერი და ამიტომაც არის იმის 1876 წლის პოლემიკა უნაყოფოთ დარჩენილი.

—

დღეს ჩვენი ქუთაისის ბანკი სამი წელიწადია, რაც წარმოებს. იმას მართლაც ბევრს შემთხვევაში გაუმართლდა ნ. ნიკოლაძის აზრები:

1). ბანკი გამოადგა უფრო ქალაქის მეპატრონეებს და ვაჭრებს, ვინამც სოფლის მემამულეებს.

2). ერთობ მტკიცე საბუთების ძებნით ძალიან გაუჭირდა სოფლის-მემამულეებს იქიდან ფულის სესხება.

აჩქარებით ზაკლადნი ლისტების გა-

ყიდვამ მოგირავე პირებს ბევრი დააკარგვინა და ისეთი სარგებელი (პროცენტი) დაადვა ზურგზე, რომ დღეს მოგირავეებს ტყავი სძკრებათ. ისინი დღეს კერძო პირისაგან უფრო იაფათ შოულობენ ფულს, ვინამც ბანკისაგან.

ამ სახით ჩვენი ბანკი თითქო შეიქნა ერთი იმ პირთაგანი, რომელნიც ფულს ასესხებენ მხოლოდ თავის ჯიბის გასამდიდრებლათ და საწყალი მამულის მეპატრონე კაცების გასაღარიბებლათ.

ეს ყოველივე იმისგან მოხდა, რომ ბანკი ახალი საქმე იყო ჩვენში და იმის დამაარსებელებს აკლდათ გამოცდილება.

—

რისი მოვალეა ახლანდელი საზოგადო კრება ქუთაისში, რა ცვლილებები უნდა მიიღოს იმან, რომ ბანკი შემდეგ უფრო სასარგებლო იქნეს ჩვენი სოფლის მემამულეებისათვის?

პირველი და ყველაზე უფრო საჭიროა რომ ახლანდელმა თავად-აზნაურობის კრებამ ყურადღება მიაქციოს ბანკის უსტავის §83 და §85 მუხლებს, რომელნიც უხდა შეიცვალოს. სანამდის ეს ორი მკაცრი მუხლი არ გადასწორდება, მანამდის არავითარი ცვლილება არ შეძლება მოხდეს ჩვენს ბანკში.

დღეს ბევრი რამ არის ბანკის წესდებაში გამოსაცვლელი, რომ მცირე და საშუალო სოფლის მამულების მეპატრონეებს ბანკისგან უფრო მომეტებული სარგებლობა მიეცეს; მაგრამ რას იზამ, რომ §85 მუხლი წესდებისა ასე ამბობს: ბანკის უსტავის გადასწორების ნება მხოლოდ მაშინ აქვს კრებას, როცა იქ დაესწრება არა ნაკლებ ასი კაცისა, რომელთაც ხმა აქვთ, და ამას გარდა კრებაში უნდა დაესწროს ორი მესამედი რიცხვი იმ წევრებისაც, რომელთაც თუმცა კენჭის უფლება არა აქვთ, მაგრამ ბანკის წევრები კი არიან.

მე ვეჭიბ, რომ, ამ მკაცრი მუხლის ძალით, ვაი თუ ახლანდელს კრებასაც არ ჰქონდეს ბანკის უსტავის გადასწორების ნება.

მართლაც, ვინ მოკრებს ორ მესამედს ბანკის წევრებისას და ამასთანავე ას კაცს კიდევ მოკენჭეს!

უამისოთ კი შეიძლება ეს ჩვენი უსტავი მეორეთ მოსელამდის შეუცვლელი დარჩეს და თუ დღეს ბევრი რამ ნაკლულევანება სჭირს ჩვენს ბანკს, რომელიც შეუძლო თავად-აზნაურობას ზურგზე ტყავს აძრობს, მუდამ ასე დარჩეს და მაშინ შვიდობით იმერეთის თავად-აზნაურობავ!

—

არა. საჭიროა დიდათ საჭიროა, რომ ზემოთ ნაჩვენები ბანკის უსტავის მუხლები ახლა ამ წლის კრებაში შეიცვალოს. აქ პარტიობის გამოჩენა დამღუპველია. აქ ყველანი უნდა შევთანხმდეთ, რადგან ყველასთვის აუცილებელი საჭიროა უსტავის ზემო მოხსენებული მკაცრი მუხლების გამოცვლა.

—

დღეს, ზემოხსენებული უსტავის მუხლების წყალობით, და იმისგან რომ ჩვენი ბანკის მოსამსახურენი გამოცდილნი არ იყვნენ, აი რა მოხდა:

ამ ორ წელიწად ნახევარში ბანკმა გასცა სესხი ჩვენს მემამულეებზე 587, 100 მანეთი გრძელის ვადით.

საშუალო გამოანგარიშებით ას მანეთზე მისცა ოთხმოცდა შვიდი მანეთი; მაშასადამე მსესხებლებს ჩამოუკლეს 77,323 მანეთი.

დღეს ჩვენი ბანკის ბილეთები ბირჟაზე ფასობენ ოთხმოცდა-თექვსმეტ მანეთად; მაგრამ ვერავის უშოვნია, უფ. ვინ,კენს აქვს შეყიდული და სხვაზე გადაცემული, რომელსაც ყუთში აქვს ჩაკეტილი, ესეც ამბობს, სანამდის ბილეთი ას მანეთად არ გახდება, არ ვიყიდიო.

მაგრამ დღევანდელის ანგარიშით, რომ ჩვენი გირაოს ბილეთი მხოლოდ ოთხმოცდა-ხუთმეტ მანეთად გაყიდული ჩავაგდოთ, მეტათ არა, მაინც შედგება ზარალი 45,968 მანეთი, რომელიც წმინდათ ამოღებულია ჩვენ გაჭირებული მამულის მეპატრონეების ჯიბიდან.

ეს ზარალი მიეცა სესხის გამტანებს მხოლოდ ბანკის გამგებლების გამოუცდელობისაგან და იმათის სულ-წასულობისაგან.

რატომ არ შეაჩერეს დღემდის გირაოს ფურცლების გაყიდვა? ვინ ატანდიმათ ძალას? რისთვის დაუკარგეს საზოგების გაჭირებულს წევრებს 45,968 მანეთი?

—

ამ შემთხვევაში თფილისის ბანკის გამგეობა ბევრათ ჭკუიანად და გონიერათ მოიქცა. იმან თავი შეიკავა არ გაყიდა თავის გირაოს ფურცლები და დღეს ამისმადლობით იმის გირაოს ფურცლები ღირს 97 მანეთად. ბადაავლეთ ოფიციალურს ანგარიშს თფილისის ბანკის გირაოს ფურცლების კურსზე ამ ერთი თვის წინათ და მაშინ დარწმუნდებით.

ბევრი სხვა გარემოებაც მაქვს სათქმელი, მაგრამ ეს სტატია უიმისოთაც ერთობ გაგრძელდა.

—

ამა გარემოების ძალით, საჭიროა საზოგადოებამ თავი დაანებოს იმ კანდიდატებს, რომელნიც დღეს წამოუყენებიათ და მიჰმართოს უფრო ენერგიის მქონე და ნასწავლს ახალგაზდობას, რომ იმათი საშუალობით უფრო რიგიანათ და გულს-მოდგინეთ წავიდეს ბანკის საქმე..

ნიკო ლოლობერიძისთანა, დავით ერისთვისა და ნიკო დადიანისთანა კაცები იმ გზასვე დაადგებიან, როგორც აქამდის ადგენ და ეს ბევრ ზარალ მისცემს საზოგადოებას.

—

დღეს საქმე ამნაირს მდგომარეობაშია.

რასაც მოველოდით ჩვენის არჩეულ დირექტორებისაგან, არ გაგვიმართლდა.

ისინი ვერც საქმის მცოდნე კაცებათ გამოგვიჩნდნენ და ვერც მშრომელკაცებათ.

თვითონ ბანკის სარგებლობა ითხოვს, რომ ძველი პარტიის კაცები არ ამოვირჩიოთ, რომ შესაძლებელი იყოს უწინდელი გზის გამოცვლა, ბანკის უსტავის რამდენიმე მუხლის შეცვლა და უფრო ქვეყნის სასარგებლო გზაზე დაყენება.

ბ. წერეთელი

დღიური

*** ხვალ, 25 აპრილს, გაიხსნება ქუთაისში მეორე საზოგადო ჩვეულებრივი კრება ბანკის დამწესებლებისა.

ადვილად წარმოსადგენია—თუ რა ფაცა-ფუცი, რა მოძრაობა და გაცხარებული ინტრიგები უნდა იყოს ამჟამად იმერეთის სატახტო ქალაქში. ამბობენ, უფ. ნიკო ლოლაბერიძემ რაც კი თავის განკარგულებაში ჭახრაკები ჰქონდა, ყველა მომართაო; თავის ჭახრაკებს თ. ნესტორ წერეთლის ჭახრაკებიც ზედ დაურთოო. ამბობენ, ყველა უფზდებში გაგზავნა კაცები, ყველგან გაცხარებით ქადაგობენ იმის კანდიდატურას, ყველას არწმუნებენ, რომ თუ ნ. ლოლაბერიძეს არ „ვსთხოვეთ“ ბანკის თავსმჯდომარეთ დადგომა, ბანკიც დაიღუპება და ჩვენი საქმეც ცუდათ იქნებაო.

ამბობენ, თ. ნესტორ წერეთელმა და ნ. ლოლაბერიძემ პირობა მისცეს ერთმანეთს, რომ ერთი დაეხმარება მეორეს ბანკის საქმეში, ე. ი. ნ. ლოლებერიძის თავსმჯდომარედ ამორჩევაში და მეორეკი პირველის (ე. ი. თ. ნ. წერეთლის) ლუბერნიის მარშლად ამორჩევაში.

ამნაირად ჩვენი თავად-აზნაურობა და მეკენჭეები ამ ორ კაცის ხელში სათამაშო ბურთად გამხდარა; თითქო ცხვრის ფარა იყვნენ, ისე აძლევენ, ურიგებენ, უთავაზებენ ერთმანეთს. „დღეს შენთვის მითავაზებია ეს ჩემი კაცები, ხვალ მე უნდა მომცეო!“

ამავე დროს პატივცემულნი ლოლაბერიძეები ავრცელებენ ჩვენს ახალგაზდებზე და საზოგადოთ ყველაზედ, ვინც იმათი ყურ-მოჭრილი ყმა არ არის, სხვადა-სხვა ათასგვარ საძაგელ და სულელურ ცილის-წამებას და ჭორებსა.

ჩვენ არ გვჯერა, რომ ჩვენი თავადაზნაურობა იმდენად გონება-დახშული იყვეს, რომ ყველაფერი დაუჯეროს იმ პირთ, რომელთაც ამ შემთხვევაში მხოლოდ თავიანთი კერძო, და არა საზოგადო, ინტერესი აქვთ: რომ ბანკის გამგეობა ჩაიგდონ ხელში.

ამაზედ უფრო ის არ გვჯერა კიდევ, რომ ჩვენს საზოგადოებას იმდენად დაკარგული ჰქონდეს თვით-მოქმედება და თავის-მოყვარეობა, რომ მართლა ცხვრის ფარასავით გაჰყვნენ ვისმე და რასაც ნ. წერეთელი და ლოლაბერიძეები უბრძანებენ, ის აასრულონ...

*** თფილისის ახლო-მახლო ადგილებში, რკინის გზის სტანციიდამ დაწ

ყობილი, ვიდრე აპჭალამდინ, კალია გაჩნდა.

ახლავე საჭიროა ფიცხელი ღონისხმარება. გუშინ რკინის გზით მოსულებმა გვიამბეს, თფილისის სტანციიდამ ოთხ ვერსზე იმდენი კალია გაწოლილიყო რელსებზე, რომ რკინის გზის მატარებელს სიარული გაუჭირდაო.

უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებოდნენ ამას წინათ, რომ ერთს ვიღაც ამერიკელს მოუგონია ისეთი მაშინა, რომელიც ძალიან ადვილად ხოცავს თურმე კალიას. მაშინა ცხენებს დააქვს მინდორში და რამდენიმე საათის განმავლობაში ორ-სამ დღიურზე მოაგროვებს კალიას და გაქლეტსო. ამერიკაში გამოუცდიათ ეს მაშინა და კარგი გამომდგარა; ურიგო არ იქნება ეს მაშინა გამოიწეროს და გასინჯოს ჩვენმა სამეურნეო საზოგადოებამ და თუ მართლა კარგი გამოდგა, გაავრცელოს ჩვენს ქვეყანაში.

თითო მაშინა ხუთ თუმნად ღირს.

*** ჩვენ გვითხრეს, რომ გუშინწინ, 22 აპრილს, უფ. თფილისის ღუბერნატორი, სამოქალაქო საქიმო უწყების უფროსი უფ. რემერტი და რამდენიმე სხვა ექიმები წასულან ბორის უეზდის სოფ. მეტეხში, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, რაღაც უცნაური მჭვალის ავათმყოფობა ასე უწყალოდ ხოცავს ხალხს. ამათი განზრახვა ის არის, რომ გამოიკვლიონ ეს ავათმყოფობა და მონახონ იმის მოსპობის საშუალება.

დროც არის...

*** ჩვენ ჩაგვივარდა ხელში ერთი პატარა ქართული წიგნი, სახელად „ბრძენი კაცი ანუ რომელიმე ძველი ფილოსოფიის მიერ გარმოცემულნი მშვენიერნი სწავლანი სიბრძნესა და ზნეობასა ზედა ბედნიერად გატარებისათვის ცხოვრებისა ქვეყანასა ზედა.“

როგორც სათაურის ფურცლიდამ სჩანს, ეს წიგნი დაბეჭდილია „კოსტანტინოპოლს, ანთუან ბვიზალიანის წიგნთ საბეჭდავსა შინა, 1878 წელს.“

აქავე წიგნის სათაურიდამ ვტყობულობთ, რომ სტამბოლში დაბეჭდილა და ისყიდება, სხვათა შორის, კიდევ შემდეგი ქართული წიგნები:

„წინამძღვარი ზეცისა“ ფასი 40 კაპ.
„გზა ცხოვრებისა“ — — — 50 „
„სიბრძნე კაცებრივი“ — — 70 „
„მოკლე ქართული გრამმატიკა ახლად-შედგენილი“ — — 30 „
„მოკლე რეტორიკა გინა მჭევრმეტყველება — — — — 40 „
„მოკლე ფილოსოფია გინა სიბრძნის-მოყვარეობა— — — 40 „
„მოკლე გეოგრაფია“ — — 40 „
„მოკლე საყოველიერო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდისინ“ — 60 „
„ლექსად ნათქვამი ცხოვრება წმ. ე ტატესი“ — — — — 50 „
„რჩეული ლექსების წიგნი“ 40 „
„თან-სატარებელი ლოცვის წიგნი“ — — — — — — 60 „
„წალკოტი ლოცვათა“ — 60 „
„საქრისტიანო მოძღვრება გინა კათეხიზი — — — — 25 „
„პატარა საქრისტიანო მოძღვრება“

ამ სიის ბოლოს დაბეჭდილია შემდეგი განცხადება გამომცემლებისაგან:

„მსკონტი ასში ათი არის მისთვის, ვინც ამ წიგნებისაგან არჩევით იყიდის ასს კოპიოსა და ანუ ერთის მათგანისაგან 30 კოპიოსა.

„ამ წიგნების გამოწერა შეიძლება ამ ქვემორე ადრესებით: უ. რუბენ-ალა ჰოქოციანს, ჩინილი-ხან'ში, მაღაზია ნუმერო 5, კონსტანტინოპოლს, ანუ უ. პავლე პარამას (პერა), ბეოღლის დიდს ქუჩაზედ, ნუმერო 272, კოსტანტინოპოლს.“

ეს ზემო-ხსენებული პატარა წიგნი მშვენიერის აკადემიურის ასოებით, სუფთად და ლამაზად არის დაბეჭდილი კარგს ქაღალდზედ და ფასიც (ორი აბაზი) ძვირი არ არის. წიგნი შეიცავს სხვა-და-სხვა ზნეობით სამღვთო სწავლას; როგორც ეტყობა, სასულიერო პირისაგან არის შედგენილი კეთილის საქრისტიანო სწავლის გავრცელების მიზნითა.

უეჭველია, ჩვენი საზოგადოება ამ შენიშნვიდამ პირველად შეიტყობს, რომ სტამბოლში რამდენიმე სასულიერო და საერო წოდების პირნი შესდგომიან ქართული წიგნების გამოცემის საქმესა და ამ მიზნითვე საკუთარი სტამბა გაუმართავთ იქ.

რაღა თქმა უნდა, რომ ეს სასიამოვნო ამბავია; მაგრამ ჩვენ გვაკვირვებს ის გარემოება, რომ ეს წიგნები ჩვენს ქვეყანაში არ იგზავნებიან გასასყიდად. არა გვგონია, რომ ჩვენის ცენზურისაგან ამ შემთხვევაში რაიმე დაბრკოლება იყვეს. ჩვენ შევიტყეთ, რომ ზოგიერთი ამ ზემოხსენებულ წიგნთაგანი ისყიდებაო ბათუმში, ვიღაც უფ. ჟაულჩოვის მაღაზიაშიო.

ქართული თეატრი

„ეჭვით ავათმყოფი“ და „ბნელ ოთახში“

პარასკევს, 20-ს აპრილს, სცენის მოყვარეთა წარმოადგინეს მოლიერის კომედია „ეჭვით ავათმყოფი“ ნათარგმნი უფ. ი. მაჩაბლისაგან და „ბნელ ოთახში“—ვოდევილი ნათარგმნი უფ. გ. ჩიქოვანისაგან.

კომედია საერთოთ კარგათ წარმოადგინეს. საზოგადოების ყურადღება მიიქციეს ნამეტნავათ სამმა მოთამაშემ: უფ. შიშნიაშვილმა სუქიასიანმა და საფაროვის ქალმა. უფ. შიშნიაშვილმა თომა დიაფორიუს როლი მშვენიერათ აასრულა შეგვიძლია ნამდვილათ ვსთქვათ არტისტიულათ; მხოლოდ ერთი ნაკლულევანება ჰქონდა, რომელიც შესამჩნევი იყო ყველასთვის, რომ გარკვევით ვერ ლაპარაკობდა.

უფ. სუქიასიანმა ერთობ გადააჭარბა და ამასთანვე გრეხას არ აკლებდა. ეტყობოდა, რომ ის ცდილობდა რაც შეიძლება ბევრი გაეცინებინა საზოგადოება და ბევრი ტაშის კვრა მიეღო.

საფაროვის ქალმა ჩვეულებრივ ნიჭიერად შეასრულა თავის როლი; მაგრამ მაინც ცოტა არ იყო იმანაც გადააჭარბა ზოგიერთ ალაგას.

დანარჩენ მოთამაშეებმა ჩვეულებრივ სუსტათ აასრულეს თავიანთი როლები. ამ ჯერობით გამოვიდა ერთი ახალი მოთამაშე ქალი, დიდებულიძისა, რომელიც თამაშობდა ანჟელიკას როლს; ამ მოთამაშეზე ჩვენ ბევრს ვერაფერს ვერ ვიტყვით, რადგანაც პირველათ გამოდის სცენაზე.

ჩვენის აზრით, ეს ქალი არ გამოდგება ამისთანა როლებში, რადგან მიხვრა-მოხვრა არ უვარგა, ამასთანვე მიმიკაც ერთობ სუსტი აქვს.

კორინთელის ქალმაც სუსტათ აასრულა შელინას როლი. იმას ხმაში არც სიხარული, არც ნაღველი, არც გაჯავრება არ ეტყობოდა, სულ ერთი და იგივე ხმით ლაპარაკობდა, ასე გონია დიაკვანსავით გაუზეპირებიაო და ცდილობსო, რომ რაც შეიძლება მალე აასრულოს თავის ვალდებულებაო. ამასთანვე ამ ქალს არა აქვს არც მიხვრა-მოხვრა და არც სიცოცხლე თამაშობაში.

თითონ ეს კომედია ერთი საუკეთესოთაგანი კომედია მოლიერისა მაგრამ ჩვენი სცენისთვის ძალიან კარგა შეიძლებოდა შემოკლება, რადგან ცოტა არ იყოს საზოგადოებას მოსწონდა.

ვოდევილი „ბნელ ოთახში“ ნათარგმნი უფ. ჩიქოვანისაგან ერთობ სუსტი ვოდევილია მაგრამ მაინც ცოცხლათ წავიდა, თუმცა აქაც უფ. კუხიანიძემ წაახდინა თავის როლი. იმას სრულებით ჩინოვნიკობა არ ეტყობოდა და ამასთანავე არც ახალგაზდა ქალთან მუსაიფი შეშვენოდა. ასე გონია კინტოაო და თავის ამხანაგ კინტოსთან მუსაიფობსო.

ნებას ვაძლევთ ჩვენ თავს ურჩიოთ უფ. რეჟისორს, რომ არ აძლიოს საფაროვის ქალს ამისთანა უშველებელი როლები, რადგან ერთობ მოიქანცება და გულიც აუცრუვდება. თითქმის ოთხი საათის განმავლობაში სულ სცენაზედ იყო და სულ მოძრაობაში.

განცხადებანი

უფ. გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

იყიდება ყოველნაირი ახალი ქართული წიგნები.

მაღაზია იმყოფება ბაღის ზემოდამ, ქაშვეთის ეკკლესიის ქვევით დუქნებში. გარეშე პირებს შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ წიგნები: **Въ тифлисъ. Въ книжный магазинъ г. Чарквіани.**

უფ. ზ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე ქუთაისში—უფ. პ. მესხის მაღზიაში ისყიდება

„ვაი ჭკუისაგან“

კომედია ოთხ მოქმედებად გ რ ი ბ ო ე-დ ო ვ ი ს ა. ნათარგმნი ბრ. ა. წინამძღვაროვის-მიერ.

ფასი—ექვსი შაური

წასვლის გამო ისყიდება პიანინო, გარმონია—ფლიუტ და უბრალო მებელი სოლოლაკზე სადოვის ქუჩაზე მელიქოვის სახლებში № 43 ჰკითხეთ ბიჭს სტეფანეს.

თფილისში უფ. ზ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისში უფ პოტე მესხის წიგნისვე მაღაზიაში ისყიდება:

ალმანახი

შედგენილი

ზ. თუმანიშვილისაგან

წიგნი მეორე

გამოცემული ზ. ჩარკვიანისაგან

ფასი—ორი აბაზი

პირველ მაისიდამ დავიწყობ თბილისში მოზიდვას ტყის მასალებს ოთხი და ხუთი წლის დახერხილებს ფიჭვის და ელის ხეებს ძალიან ხმელს. აქ იმაზედ უკეთესი მასალა არ მოიპოვება და ამიტომ ვთხოვ მსურველს მომმართოს მი არსენალის ქუჩაზე ფულინოვის სახლებში № 31.

(3—3)

„ჰაერ ოსტატი“

კამედია ოთხ-მოქმედებად, თხზულება მ. ჯორჯაძისა

ანგარიში

ხვანჭკარის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობისა 1878 წლისა

პირველს იანვარს 1878 წელს იყო:

შემოსავალი	მან.	კაპ.	გასავალი	მან.	კაპ.
წილის ფული — — —	2723	70	გასესხებული — — — —	4025	50
სასარგებლოთ შემოტანილი	678	„	ნაღდი კასსაში — — —	431	51
ვალათ აღებული — — —	560	„			
სათავდარიგო თანხა — —	19	7			
წმინდა მოგება— — — —	476	24			
სულ—	4457	1	სულ—	4457	1

1878 წელში

შემოსავალი	მან.	კაპ.	გასავალი:	მან.	კაპ.
წილის ფული — — —	4033	30	გასესხებული— — — —	13007	„
სარგ. დაჭ. გასესხ. და ახალი ვადის მიცემის დროს— —	937	41	წილის ფული— — — —	113	60
დაბრუნებული ნასესხი — —	9335	„	მოგება წილზედ — — —	203	76
ჯარიმა— — — — — —	50	81	სარგებელი ვადაზედ წინ გადახდილის სესხებისა— —	36	36
სასარგებლოთ შემოტანილი	881	50	სასარგებლოთ შემოტანილი	891	50
სათავდარიგო თანხა — —	47	84	ამის სარგებელი — — —	24	44
სხვა და სხვა შემოსავალი—	12	„	ვალათ აღებული ფულები	400	„
აღებ მიცემობისა — — —	5	70	სარგებ. ვალათ აღებულს ფულებზედ — — — —	25	„
			სამმართველოს ხარჯი— —	36	20
			აღებ-მიცემობისა — — —	234	54
სულ—	15303	56	სულ—	14972	40

1879 წლის პირველის იანვრისათვის დარჩა:

შემოსავალი	მან.	კაპ.	გასავალი:	მან.	კაპ.
წილის ფული— — —	6643	40	გასესხებული — — —	7697	50
სასარგებლოთ შემოტანილი—	668	„	ნაღდი კასსაში — — —	762	67
ვალად აღებული — — —	160	„			
სათავდარიგო თანხა — —	66	91			
წმინდა მოგება— — — —	921	86			
სულ—	8460	17	სულ—	8460	17

წევრნი გამგებლობისა:

თ. პ. ყიფიანი

მ. ბიორგობა.

(3—1)

„ქუთაისის ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოების“ წევრნი, გამგეელი კამიტეტის გადაწყვეტილების ძალით, მოწოდებულნი არიან ამ აპრილის 22-ს არა ჩვეულებრივ საზოგადო კრებად. (3—3)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ.	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
გორი . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი . . .	12	13			3	84	1	97
ყვირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
გორი . . .	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილისს . .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
როსტოვ, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურღს, ვარშავას . . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთი—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბ. ქაღალდის (ხამი მისხალი) .	8

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 21 აპრილს.		
ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ.	1	80
ფქვილი წითელი . . .	1	0
ქერი ფუთი	1	20
ბამბა ერივნისა, ფუთი .	7	30
— ამერიკისა, ფუთი . .	8	40
ბაკენტილი ბამბა ფუთი.	9	60
მატყლი თუშური ფუთი.	6	60
— თარაქამისა ფუთი . .	3	80
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	10
ქონი, ფუთი	5	50
ქონის სანთელი ფუთი .	7	60
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	50
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	90
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	99
სპირტი ვედრო . . .	4	60
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	40
—ფხვნილი ფუთი . . .	5	60
ყავა გრგვალი, გირვ. .	—	69
ჩაი ქუნჯუთისა ფუთი	11	80
თამბაქო, ხაშური ფთ.	7	20

თფილისის სამკურნალო.

ერევნის მოედანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და გარალევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათს: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო, ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 24 Апрѣля 1879 .Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.